

Geo დაიჯესტი

№5-6 / მაისი-ივნისი, 2021 წ.



სარჩევი

ბუნდესვერის 2022 წლის ბიუჯეტი	3
აშშ კიბერ შესაძლებლობებით ლიდერ პოზიციას ინარჩუნებს	4
ევროპული ინტეგრაციის ისტორია 71 წელს ითვლის	6
ნატო-ს ბრიუსელის სამიტი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში.....	8
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რუსეთის ფედერაციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად საბოლოო ვადა განუსაზღვრა	10
სტრასბურგის სასამართლომ „საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ - ე.წ განგრძობადი ოკუპაციის საქმის განხილვა განაახლა	11
უკრაინის თავდაცვის მინისტრი ანდრი ტარანი საქართველოში	13

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

ბუნდესვერის 2022 წლის ბიუჯეტი



23 ივნისს გერმანიის პარლამენტმა თავდაცვის 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა რომელიც დაახლოებით 50 მილიარდის მოცულობისაა. როგორც გერმანიის თავდაცვის მინისტრი, ანერგეტ კრამპ-კარენბაუერი ამბობს, ეს ბიუჯეტი თავისი მნიშვნელობით ისტორიულია. აღნიშნული ბიუჯეტის მიღებამ გერმანიას საშუალება მისცა არა ერთი პროგრამა დაიწყო ფლოტის მიმართულებით.

მთავრობის გეგმის მიხედვით, თავდაცვის ბიუჯეტი 50.4 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც აქამდე არსებულ მოლოდინზე სამი მილიარდით მეტია.


აღნიშნული ბიუჯეტიდან დიდი ნაწილი სწორედ საზღვაო ფლოტის მიმართულებით არსებული პროგრამების განვითარებას მოხმარდება. მათ შორისაა წყალქვეშა ნავის 212 CD ტიპის განვითარების პროგრამაც, რომელიც მომავლის წყალქვეშა ნავად ითვლება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ახალი შვეულმფრენების NH-90-ის - ზღვის ლომების და ზღვის ვეფხვების

შეიარაღებაში მიღების პროგრამაც. დაზვერვის ხომალდების, საწვავით გამწყობი ხომალდების და არსებული ხომალდების მოდერნიზირების პროგრამები.

აღსანიშნავია, საზღვაო სარაკეტო სისტემა Block 1A რომელიც შორეული მოქმედების სარაკეტო სისტემას წარმოადგენს და ასევე გამოყენებულ შეიძლება იქნას სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგაც. მისი დანიშნულებაა Harpoon-ის კლასის რაკეტების ჩანაცვლება, რომელთაც უკვე გაუვიდათ ექსპლუატაციის ვადები. აღნიშნული კონტრაქტი გერმანულ-ნორვეგიული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება და უმთავრესი სამუშაოები ნორვეგიული მხარის მიერ იქნება შესრულებული.

თავდაცვის ახალი ბიუჯეტი საწვავით გამწყობი ახალი ხომალდის 707 კლასის წარმოებასა გულისხმობს, მასთან ერთად სახარჯი მასალების და ეკიპაჟების მომზადების პროგრამებსაც. აღნიშნული ხომალდების მიღება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს გერმანიისა და ნატოს წევრი ქვეყნების ლოგისტიკურ შესაძლებლობებს ზღვაზე.

აშშ კიბერ შესაძლებლობებით ლიდერ პოზიციას ინარჩუნებს



International Institute for Strategic Studies (IISS)-ის [ანგარიშის მიხედვით](#) ამერიკის შეერთებული შტატები წამყვან პოზიციას იკავებს კიბერ შესაძლებლობების მხრივ მსოფლიოში.

ანგარიშის მიხედვით, აშშ-ს შეტევითი შესაძლებლობები კიბერ სივრცეში ყველაზე თანამედროვე და განვითარებულია. თუმცა შესაძლებლობების დემონსტრირება სხვა ქვეყნებთან შედარებთ ჯერ სრულყოფილად არ მომხდარა.

აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, აშშ-ს მეორე „დივიზიონში“ 7 ქვეყანა მოყვება, რომელთაგანაც ორი აშშ-ს პირდაპირი მოწინააღმდეგე: ჩინეთი და რუსეთია. დანარჩენი ხუთი ქვეყანა კი მოკავშირე სახელმწიფოებია. ავსტრალია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ისრაელი.

რამდენიმე დღის წინ, CYBERCOM-ის განცხადებით, კანადურმა გუნდმა მოიგო ყოველწლიური კიბერ თავდაცვის სწავლება [Cyber Flag 21-2](#).

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ჩინეთმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეზღუდული კიბერ შესაძლებლობებიდან, ერთ-ერთ წამყვან კიბერ სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც უნარი აქვს ქვეყნის გარეთ მნიშვნელოვანი კიბერ აქტივობების განხორციელება. ამასთან ერთად, ჩინეთმა შეძლო მსოფლიოში ყველაზე ექსტენსიური ადგილობრივი კიბერ დაზვერვისა და ცენზურის სისტემის შექმნა და განვითარება. ამასთან ჩინეთის ამბიციები უფრო დიდია. ჩინეთის 2015 წლის სამხედრო სტრატეგიისა და 2016 წლის კიბერ სტრატეგიის მიხედვით, ჩინეთს ამბიცია აქვს თანასწორი კონკურენცია გაუწიოს აშშ-ს და სხვებს კიბერ სივრცეში. თუმცა აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, ჩინეთის კიბერ თავდაცვის საშუალებები, განსაკუთრებით კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის კუთხით, ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე და განვითარებას საჭიროებენ.

რუსეთთან მიმართებაში აღნიშნულია, რომ იგი ცდილობს უმთავრესი სისუსტეების ხელახლა გადააზრებას და მათი სამთავრობო რეგულაციების შემუშავების მეშვეობით აღმოფხვრას. ასევე სუვერენული ინტერნეტის განვითარებას, რისთვისაც ადგილობრივი ციფრული ინდუსტრიის განვითარებასა და წახალისებას ცდილობს. ანგარიშის მიხედვით, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული ამბიციები საკმაოდ არა რეალისტურია.

იმისათვის რომ რუსეთმა შეძლოს აშშ-ს დონის შესაძლებლობების განვითარება კიბერ სივრცეში, მას ესაჭიროება კიბერ უსაფრთხოების განვითარება, რუსეთის წილის ზრდა გლობალურ

აღნიშნული კვლევა ეფუძნება სახელმწიფოების ხარისხობრივ შესაძლებლობებს შეფასებას შვიდი კატეგორიის მიხედვით. ესენია:

- სტრატეგია და დოქტრინა
- მმართველობა, მართვა და კონტროლი
- ძირითადი კიბერ დაზვერვის საშუალებები
- კიბერ დამოკიდებულება და თავისუფლება
- კიბერუსაფრთხოება და მედეგობა
- გლობალური ლიდერობა კიბერ სფეროში და საკითხებში
- შესაძლებლობები

მესამე ეშელონის სახელმწიფოები მოდიან ისეთი ქვეყნები, როგორებიც არის ინდოეთი, ირანი და ჩრ. კორეა. ანგარიშის მიხედვით, ინდოეთმა საშუალო მაღალსხმევა გაიღო კიბერ უსაფრთხოების პოლიტიკისა და დოქტრინის შემუშავებაში.

სხვა სახელმწიფოები რომლებიც განხილულია კვლევაში, მოიცავს: ინდონეზიას, იაპონიას, მალაიზიას და ვიეტნამს. ყველა მათგანი მესამე ეშელონშია.

ხათუნა ბურკაძე

„ჯეოქეისის“ ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

ევროპული ინტეგრაციის ისტორია 71 წელს ითვლის



© www.dcfta.gov.ge

ამა წლის 9 მაისს ევროპის დღე აღნიშნა. ისტორიულად, 1950 წლის 9 მაისიდან იწყება ევროპული ინტეგრაციის პროცესი, რადგან აღნიშნულ თარიღს უკავშირდება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, რობერტ შუმანის მიერ ფრანგი პოლიტიკოსის ჟან მონეს ინიციატივის გახმოვანება. ეს იდეა გულისხმობდა დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების გაერთიანებას. 1951 წელს, ამ ინიციატივის თანახმად, საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა, იტალიამ და ნიდერლანდების სამეფომ „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ამ შეთანხმებით ევროპული ინტეგრაცია დაიწყო.

1957 წელს, რომში, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება შეიქმნა. ასევე, ცალკე ხელშეკრულებით დაფუძნდა ევროპული გაერთიანება ატომური ენერჯის დარგში. მის მიზანს ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა წარმოადგენდა.

1967 წელს სამივე ორგანიზაცია: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და „ევრატომი“ ერთ ინსტიტუციურ სისტემაში გაერთიანდა, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“ ეწოდა. 1992 წელს, მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, ეს სახელწოდება შეიცვალა და „ევროპული გაერთიანებები“ ევროკავშირად გარდაიქმნა.

ევროპული ინტეგრაციას 71-წლიანმა ისტორიამ აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის იდეამ გაამართლა. ევროპის კავშირის ფარგლებში ევროპულმა სახელმწიფოებმა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ინტეგრაციის საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწიეს. ამიტომაცაა ევროკავშირი გამორჩეული სხვა რეგიონალური სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან.

ევროკავშირის ზენაციონალური ელემენტები განაპირობებენ ორგანიზაციის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების როლისა და კომპეტენციის ისე განსაზღვრას, რომ მათ ხელი შეუწყონ, ერთი მხრივ, ერთიანი ევროპული პოლიტიკის შემუშავებას და, მეორე მხრივ, მის ეფექტიან იმპლემენტაციას.

ღირებულებებსა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებულმა ევროპულმა ერთობამ მკაფიოდ წარმოაჩინა ევროკავშირის არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ გლობალური მნიშვნელობაც.

ეფექტიანი ევროპული ერთობა მნიშვნელოვანი მაგალითია სხვა სახელმწიფოებისთვის, თუ როგორ შეიძლება თანამშრომლობის, სოლიდარობის გზით მეტი შესაძლებლობების შექმნა ეროვნული სისტემების ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი განვითარებისთვის და ამავდროულად, მათი ინტეგრაცია საერთო ფასეულობებზე დაფუძნებულ გაერთიანებაში.

ისტორიულად, საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, ყოველთვის მისწრაფოდა და მისწრაფვის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ. მცირე სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი იყო და არის რეალურად არათანაბარ საწყისებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემაში პარტნიორების მხარდაჭერა.

ბუნებრივია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ევროპის კავშირში სრულფასოვანი ინტეგრაცია. ჩვენი ისტორიული არჩევანი საქართველოს კონსტიტუციით - ქვეყნის უზენაესი კანონითაა განმტკიცებული, რაც გულისხმობს კონსტიტუციური ორგანოების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ზომის მიღებას ევროკავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

საქართველოსათვის ევროკავშირში წევრობა ნიშნავს სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული ინსტიტუტების საბოლოოდ ჩამოყალიბებას და უსაფრთხო, თავისუფალი, სამართლიანი გარემოს ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების განვითარებისათვის, კეთილდღეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

ნატო-ს ბრიუსელის სამიტი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში



© www.nato.int

ამა წლის 14 ივნისს ნატო-ს სამიტი ბრიუსელში გაიმართა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბრიუსელის სამიტზე კვლავ დადასტურდა, რომ საქართველო ნატო-ს ღირებული პარტნიორია. ბრიუსელის დასკვნით დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, გმობს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ მოქმედებებს და მიუთითებს წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ფუნქციონირების მნიშვნელობაზე.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უმძიმეს ვითარებას. ალიანსის წევრები რუსეთის ფედერაციას 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებისკენ მოუწოდებენ. ასევე, კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნები ბუქარესტის სამიტზე გაცხადებული პოლიტიკური დაპირების ერთგულები რჩებიან.

კომუნიკეში პირველად გაჩნდა ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია მესამე მხარის ჩარევა საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. ეს, პრაქტიკულად, გულისხმობს იმას, რომ ვერცერთ არაწევრ ქვეყანას ვერ ექნება ვეტოს უფლება საქართველოს ნატო-ში წევრობაზე.

ასევე, ყურადღებაა გამახვილებული შარლ მიშელის მედიაციით პოლიტიკური პარტიების მიერ ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებაზე. ამასთანავე, დოკუმენტში საუბარია საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობასა და მის წვლილზე საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესში.

მიუხედავად ამისა, მეტია საჭიროა, რაც საქართველოს ნატო-ში წევრობას გულისხმობს. ეს ორმხრივი მნიშვნელობის პროცესია ანუ საქართველოს ნატო-ში წევრობა მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი, ასევე, ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის.

ალიანსში წევრობა საქართველოს უსაფრთხოების რეალურ გარანტიას მისცემს. ისტორიამ აჩვენა, რომ შეკავების ინსტრუმენტები სწორედ კოლექტიური თავდაცვის სისტემის ფარგლებში ეფექტიანად ფუნქციონირებს. მას შეუძლია დაიცვას სახელმწიფო აგრესიისგან და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესი უზრუნველყოს.

შეცვლილ საერთაშორისო გარემოში საქართველოს ნატო-ში წევრობისათვის აუცილებელია ქვეყნის ახალი ფუნქციის გამოკვეთა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერაში უნდა ვიფიქროთ ციფრული პოლიტიკის განვითარებაზე.

ამ თვალსაზრისით, ესტონეთის გამოცდილება საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მცირე სახელმწიფომ საკუთარი ნიშით დიდი სახელმწიფოები დააინტერესოს და საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

ასევე, გეოპოლიტიკური კონტექსტი ჩვენგან სატრანზიტო ფუნქციის კიდევ უფრო მეტად გამოკვეთას მოითხოვს, რაც გულისხმობს, მათ შორის, ახალი პროექტების განხორციელებას. ეს კიდევ უფრო მეტად გაზრდის საქართველოსადმი რეგიონში ინტერესს. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ, გავაღრმავოთ ურთიერთობები ჩვენს ნატოელ პარტნიორებთან.

ახალი როლის გამოკვეთის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღებისას ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია ურთიერთსაჭიროებისა და საერთო ინტერესების განსაზღვრა.

ამასთანავე, უნდა გავაგრძელოთ რეფორმები, განსაკუთრებით დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით, რისთვისაც ქართულ პოლიტიკას მეტი შინაარსი უნდა შევძინოთ.

დღეს ქვეყნის განვითარების ახალი ხედვა გვჭირდება, რათა ევროინტეგრაციის გზაზე უკეთ შევძლოთ როგორც ქვეყნის წარმოჩენა, ასევე სტრატეგიული მიზნების მიღწევა. აუცილებელია განვამტკიცოთ თანამშრომლობა ალიანსის ყველა წევრ სახელმწიფოსთან, რადგან ჩვენი ალიანსში წევრობის გასაღები ნატო-ს ყველა წევრი ქვეყნის დედაქალაქშია.

ასევე, განსაკუთრებით გამოვყოფდი ამერიკის შეერთებული შტატების როლსა და მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივისადმი. ჩვენ ეს არაერთგზის ვიხილეთ. ამ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, რომელთა შორისაა ევროატლანტიკური გაერთიანების განმტკიცება. შესაბამისად, ამერიკისა და ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნების მხარდაჭერით უნდა შევძლოთ მეტი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა ევროატლანტიკური მიზნების განსახორციელებლად. ეს პროცესი კი, საბოლოოდ, ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას განამტკიცებს და საქართველოს მოქალაქეებისათვის ახალ შესაძლებლობებს შექმნის.

სალომე ბლადაძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რუსეთის ფედერაციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად საბოლოო ვადა განუსაზღვრა



2019 წლის იანვარში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციას დაეკისრა სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურება 10 მლნ ევროს ოდენობით, რაც უკავშირდება 2006 წელს რუსეთის ფედერაციიდან ქართველების მასობრივ დეპორტაციასა და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას. თავდაპირველად, ზიანის ანაზღაურების ვადად რუსეთის ფედერაციას განესაზღვრა სამი თვე, 2019 წლის 30 აპრილი, თუმცა, რუსეთის ფედერაციას აღნიშნული უპირობო ვალდებულება არ შეუსრულებია. ეს მოვლენა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ღრმა შემფოთების გამომწვევი მიზეზი გახდა. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობს.

მიმდინარე წლის 7-9 ივნისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, სხდომაზე ე.წ. დეპორტირებულების საქმის აღსრულების პროცესი შეაფასა და გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყვეტილების თანახმად, მინისტრთა კომიტეტმა რუსეთი ფედერაციას ვალდებულების შესასრულებლად განუსაზღვრა საბოლოო ვადა, 6 სექტემბერი. განსაზღვრული ვადის ფარგლებში რუსეთის ფედერაციას აკისრია ვალდებულება, განახორციელოს კომპენსაციის გადახდა საქართველოს ხელისუფლებისათვის, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს აღნიშნული კომპენსაციის დაზარალებულებისთვის გადანაწილება, ან რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწეროს მემორანდუმს, რომლითაც შესაძლებელი გახდება კომპენსაციის გადახდა ევროპის საბჭოს შუამავლობით.

როგორც ცნობილია, საქართველომ 2006 წელს, თბილისში დააკავა ჯამშობაში ექვმიტანილი ოთხი რუსი ოფიცერი. სწორედ ეს ფაქტი გახდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ქართველთა კოლექტიური გამეგების საპასუხო რეაქცია. ჯერ კიდევ 2014 წელს, ადამიანთა უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაპატიმრება, დაკავება და კოლექტიური გამეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევას წარმოადგენს. რასაც მოჰყვა, 2019 წლის იანვარში, სასამართლოს მიერ გადასახდელი კომპენსაციის რუსეთის ფედერაციისათვის რაოდენობის განსაზღვრა და დაკისრება საქართველოს სასარგებლოდ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით მინისტრთა კომიტეტი დეპორტირებულების საქმის განხილვას უახლოეს სხდომაზე 2021 წლის სექტემბერში განაახლებს.

სტრასბურგის სასამართლომ „საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ - ე.წ განგრძობადი ოკუპაციის საქმის განხილვა განაახლა



საქართველოს იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგვაძის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლომ „საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“ - ე.წ განგრძობადი ოკუპაციის საქმის განხილვა განაახლა. „ჩვენ გვაქვს ძალიან მყარი მტკიცებულებები და დარწმუნებულები

ვართ, რომ ამ საქმეზეც, ისევე როგორც წინა საქმეებში, გამარჯვებას მოვიპოვეთ."- ნათქვამია საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებაში.

საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით ითხოვს, რომ დადგინდეს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლის დარღვევისთვის, კერძოდ: წამების აკრძალვა, სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის, საკუთრებისა და განათლების უფლებები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მეოთხე საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში 2018 წლის 21 აგვისტოს შეიტანა. საჩივარი ეხება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავებების, თავდასხმებისა და მკვლევლობების ადმინისტრაციულ პრაქტიკას. რუსეთის ფედერაციის მხრიდან აღნიშნული ქმედებები, 2008 წლის ომის შემდეგ, განსაკუთრებით გაძლიერდა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია 2018 წლის თებერვალში არჩილ ტატუნაშვილის წამების და მკვლევლობის დროს. როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იტყობინება, საჩივარში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის მკვლევლობის საქმეებს.

ანი შანიძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ანდრი ტარანი საქართველოში



25 მაისს უკრაინის დელეგაცია უკრაინის თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით საქართველოს ესტუმრა. პირველ დღეს ისინი შეხვდნენ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძეს.

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ვიზიტი ხელს შეუწყობს უკრაინა-საქართველოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. „ჩვენ ერთიანი საფრთხეები და განვითარების მიზნები გვაერთიანებს. ჩვენი ქვეყნები იზიარებენ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მისწრაფებებს. საქართველო, ისევე როგორც უკრაინა, ესწრაფის ნატოს წევრობას. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავება, რათა უფრო ეფექტურად დავძლიოთ რეგიონალური და გლობალური საფრთხეები, - თქვა ანდრი ტარანმა.

ორმხრივი შეხვედრის დროს, ანდრი ტარანმა და ჯუანშერ ბურჭულაძემ გაცვალეს მოსაზრებები საერთო ინტერესებიდან რამდენიმე აქტუალურ საკითხზე, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მიერ დროებით ოკუპირებული უკრაინისა და საქართველოს სუვერენულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ. უკრაინისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრების ხელმძღვანელებმა ყურადღება გაამახვილეს აზოვ-შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ფედერაციის

მიერ საერთაშორისო სამართლის რეგულარული დარღვევის გამო შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

რუსეთის რეგულარული დესტრუქციული ქცევისა და აგრესიის გათვალისწინებით, ანდრი ტარანმა და ჯუნშერ ბურჰულაძემ დაადგინეს თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტები კიბერუსაფრთხოებაში, სამხედრო ტექნიკაში, საერთაშორისო სამხედრო წვრთნებში ერთობლივი მონაწილეობისა და ნატო-ს სტანდარტების დანერგვის მიზნით შესაბამისი ეროვნული შეიარაღებული ძალების ყოველდღიურ ოპერაციებში. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება რუსეთის ფედერაციის მხრიდან აგრესიის ესკალაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეხვედრის დასასრულს მინისტრებმა საქართველოსა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროებს შორის 2021 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას მოაწერეს ხელი. გეგმის თანახმად, ქართული და უკრაინული მხარეები ერთმანეთს სხვადასხვა სფეროში გამოცდილებას გაუზიარებენ.